დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N15

27.12.2019 წელი ქ.დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სხდომა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2019 წლის 15 დეკემბერს 11 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე; სოფიო ასლამაზაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები;

1; სოფიო ასლამაზაშვილი;

2; რამიზ რამაზანოვი;

3; ემილ იბრაგიმოვი;

4. აფთანდილ მუსაევი;

5. ფაიგ ისმაილოვი;

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის ერთი წევრი:დავით მენაბდიშვილი

კომისისის სხდომას ესწრება კომისიის 5 წევრი , კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

მომხსენებელი; სოფიო ასლამაზაშვილი

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 13 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
2. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის N51 08 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი; სოფიო ასლამაზაშვილი

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. **მოისმინეს;**

3. სოფიო ასლამაზაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 13 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
   რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

   საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროეტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტს 2020 წლის პროექტებსი განხორციელებისათვის გამოეყო 1733219 ლარი დანართი N27-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად რაც შესაბამისად ასახული იქნა გადასახდელების ორგანიზაციულ კოდში 020102 „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია"-ის არაფინასური აქტივების ზრდის მუხლში 1733,2 ათასი ლარი.

ამრიგად დმანისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 11472,0 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: რამიზ რამაზანოვმა, აფთანდილ მუსაევმა განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

მომხსენებელი; სოფიო ასლამაზაშვილი

1. **1. მოისმინეს;**

სოფიო ასლამაზაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ.

მიზანშეწონილად მიიჩნევა განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ, სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისა და საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის (ბენზინი-პრემიუმი, დიზელი-ევროდიზელი) ყოველთვიური ლიმიტი შემდეგი ოდენობით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (1)- 50 ლიტრი ბენზინი;

ბ) საკრებულოს კომისიები (თავმჯდომარეები) (4) - 50 ლიტრი ბენზინი თითოეულს.

გ) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე (1) - 50 ლიტრი დიზელი.

დ) საკრებულოს ფრაქციები (თავმჯდომარეები (4) მოადგილეები (4)) - 50 ლიტრი ბენზინი თითოეულს;

ე) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომრის მოადგილე (1) – 50 ლიტრი დიზელი;

1. საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით, განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ყოველთვიურად შეძენილი იქნას დამატებით 1050 ლიტრი საწვავი, აქედან 900 ლიტრი ბენზინი (პრემიუმი), 150 ლიტრი დიზელი (ევროდიზელი).
2. საწვავის მიღება-გაცემა განხორციელდეს საკრებულოს აპარატიდან, ხოლო საწვავის მომწოდებელ კომპანიასა და საწვავის მიმღებთა შორის პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - სოფიო ასლამაზაშვილი.

2.**აზრი გამოთქვეს:** ემილ იბრაგიმოვმა, რამიზ რამაზანოვმა
განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

2. **დაადგინეს ;**

წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე; სოფიო ასლამაზაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი

საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის სხდომებში მონაწილეობის აღრიცხვის ფურცელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. სოფიო ასლამაზაშვილი
2. ნაიბ ისმაილოვი
3. ავთანდილ მუსაევი
4. ემილ იბრაგიმოვი
5. რამინ რამაზანოვი
6.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

1. დავით ქოსბლიშვილი
2.
3.

საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე ს. ასლამაზაშვილი

27.12.2019წ.